საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი ივნისის 16
1921 წ
№ 87
ფასი 200 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ისტორიული დოკუმენტი

ბერლინი, 4 მაისი 1921 წ.

2 ნახევარი ინტერნაციონალის (ვენის გაერთიანებული) ორგანოში ჟურნალ „სოციალისტური უწყება“-ში მოთავსებულია საქ. მენშევიკური მთავრობის მოწოდება შემდეგი წინასიტყვაობით:

საქართველოს დაპყრობა.

ჩვენ მივიღეთ საბუთები, რომელიც დაწვრილებით გვაცნობს საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს დაპყრობის ისტორიას. ადგილის უქონლობის გამო მოგვყავს აქ მხოლოდ უმთავრესი ნაწილები:

ყველა სოციალისტურ პარტიებს და მუშათა ორგანიზაციებს.

ამხანაგებო! მოგმართავთ თქვენ იმ ქართველი ხალხის სახელით, რომლის თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაიხშო ბოლშევიკურმა რუსეთმა.

მოსკოვის მთავრობა დიდი ხანია სცდილობდა გაევრცელებია თავისი ხელისუფლება და დაემყარებია საბჭოთა მართველობა საქართველოში, როგორც ისეთ ქვეყანაში, რომელიც ითვლება აუცილებელ გზად ბოლშევიკური პოლიტიკისათვის აღმოსავლეთში. მოსკოვის მთავრობა შეეცადა საბჭოთა მართველობის დამყარებას საქართველოში აჯანყებების საშვალებით, რომელსაც აწყობდენ მისი აგენტები რუსეთის ოქროთი. ყველა ცდა ბოლშევიკებისა დამარცხებით თავდებოდა. ვერც პროპაგანდამ და ვერც მილიონებმა, რომელიც უხვად ჰქონდათ მოსკოვის აგენტებს, ვერ შეარყია ნდობა ქართველი ხალხისა სოც. დემ. მენშევიკურ პარტიისადმი, რომელსაც მან ჩააბარა ძალაუფლება. ეს პარტია ყოველთვის უდგა სათავეში საქართველოს ხალხს: ის იყო მის წარმომადგენლად თვითვე სახელმწიფო სათათბიროში, ის უძღვებოდა მას მეფის საწინააღმდეგო ბრძოლაში. 1917 წელ. მასვე ჩააბარა ქართველმა ხალხმა მუშაობა მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცების საქმეში. ხალხის სურვილისა და მისი მოწოდების თანახმად სოც.-დემოკრატიული პარტია შეუდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოწყობას, სადაც ის შეეცადა როგორც პოლიტიკური აგრეთვე ეკონომიურ დარგში რეფორმების გატარებას. მიწების კონფისკაცია და მისი განაწილება გლეხებს შორის, სოციალიზაცია ტყეების, მადნების, და რკინის გზების, ნაციონალიზაცია საგარეო ვაჭრობის მთავარი დარგებისა, შრომის დაცვა, ორგანიზაცია ადგილობრივი თვითმართველობისა საყოველთაო საარჩევნო პრინციპზე, გაძლიერება სახალხო განათლებისა და პოლიტიკური თვითმოქმედებისა მუშათა წრეებში, აი რა შეადგენდა უმთავრეს შინაარს ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობისა, რისდროისაც ჩვენ ვემყარებოდით იმ რწმენას, რომ დემოკრატია არის ერთად ერთი გზა სოციალიზმისაკენ. ამ რწმენას საერთოდ იზიარებს საქართველოს მუშათა კლასი, კერძოდ მუშათა საბჭოებიც სადაც ჩვენ პარტიას რევოლიუციის დაწყებიდან, უკანასკნელ დღემდე ეკუთვნოდა 90—95 პროცენტი მთელი ხმებისა.

ბოლშევიკები როგორც კი დარწმუნდენ, რომ მათ პროპაგანდას არავითარი გასავალი არა აქვს ჩვენს ქვეყანაში, თავი მიანებეს აჯანყების იმედებს და გადასწყვიტეს იარაღის შემწეობით დაეპყროთ საქართველო. 11 თებერვალს 1921 წ. რუსები (ბოლშევიკები) მე-11 არმიის ნაწილებიდან შემოიჭრნენ საქართველოში სომხეთის მიმართულებიდან. ბ. შეიმანი, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი ჩვენ გვაცხადებდა, რომ რუსეთმა არაფერი არ იცის ამ თავდასხმის შესახებ, და რომელიც თითქოს სომხეთის მთავრობის საქმეა. მან ეს განაცხადა სწორედ იმ დროს, როდესაც საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელი ბ. შავერდოვი ჩვენ გვაცნობებდა, რომ სომხეთი არ დებულობს არავითარ მონაწილეობას შემოტევაში და რომ ის მზად არის ყველა სადავო კითხვები გადასწყდეს მშვიდობიანის გზით.

15 თებერვალს ბ. შეიმანმა ბაქოდან მე-11 არმიის ხელმძღვანელიდან მიიღო შიფრიანი ტელეგრამა:

„გადაწყდა რუბიკონის გადასვლა. იმოქმედეთ ამ გადაწყვეტილებასთან შეთანხმებით“. იმავე დროს მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა შემოუტიეს საქართველოს ადერბეიჯანის მხრივ. 16 თებერვალს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი შეეცადა პირდაპირი მავთულით მოლაპარაკებოდა მოსკოვს, მაგრამ ბ. კარახანმა (გარეშე საქმეთა კომისრის მოადგილემ), რომელიც იმ დროს იმყოფებოდა აპარატთან უარი განაცხადა მოლაპარაკებაზე. ამავე დროს სამხედრო მოქმედება გრძელდება. ტფილისის წინააღმდეგ ორი მხრივ მომართულ იერიშს წინ ხვდება გმირული წინააღმდეგობა ქართველი ხალხისა. ტფილისის პროლეტარიატი დგება ტფილისის დამცველთა წინა რაზმებში. ფაბრიკა-ქარხნები ჩერდებიან მუშათა ფრონტზე გამგზავრების გამო. ეს აღტკინება დასრულდა ჩინებულად. ჯარმა და სახალხო გვარდიამ უკუაგდო მტრის იერიშები, მიუხედავად იმისა რომ ის ბევრად ჩამორჩებოდა უკანასკნელს რიცხვით და იარაღით.

21 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე უგზავნის „რადიოს ჩიჩერინს, და სცდილობს გამოარკვიოს იმ ომის მიზეზი, რომელიც დაიწყო დიდმა რუსეთმა პატარა საქართველოს წინააღმდეგ.

„რას მოითხოვთ ჩვენგან“, ეკითხება ის ამ რადიოთი, „გვაცნობეთ მიზნები, რისთვისაც დაიწყეთ ომი ჩვენს წინააღმდეგ, შეიძლება უსისხლოთ შევთანხმდეთ.“

ამ ტელეგრამაზე პასუხის მიუღებლობის შემდეგ, მთავრობის თავმჯდომარე მიმართავს ლენინს და ტროცკის, და აძლევს წინადადებას ომის შეჩერებაზე რომელიც ყოველ ეჭვის გარეშე, წმინდა ნაციონალური ხასიათის არის. ამ ტელეგრამაზედაც პასუხი არ გასცეს. მოსკოვის მთავრობამ გადასწყვიტა, ეწარმოებია ომი ბოლომდის, ჩვენი რესპუბლიკის საბოლოვო განადგურებამდის. ჩვენს წინადადებებს ომის შეწყვეტის შესახებ, ის უპასუხებს შემოტევით სამ ახალ მიმართულებით: საქ. სამხედრო გზით, შავი ზღვის მიმართულებიდან, სოჩის მხრივ.

საქართველოს რესპუბლიკა აწარმოებს ბრძოლას მეტად უთანასწორო პირობებში.

მის ჯარებს მოელის სრულ რკალში გახვევა და განადგურება მიუხედავად ჯარის გმირობისა და თავგანწირვისა. მაშინ საქართველოს უმაღლესი სარდლობა, სწყვეტს მოახდინოს ტფილისის ევაკუაცია, დაიხიოს უკან და შეკავშირებული ძალებით გამაგრებულიყვენ ახალ ადგილებზე სადაც ზურგი უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამ გადაწყვეტილებასთან შეთანხმებით ჯარს ებრძანა დაეხია ბრძოლით რიონის მარცხენა ნაპირზე, იმ პირობით რომ ბათომი დაცული ყოფილიყო, როგორც სამხედრო ბაზა, მაგრამ ბათომში შესვლისთანავე თათრები აცხადებენ თებერვლის 16, რომ დიდმა სახალხო კრებამ დაადგინა მოახდინოს ქ. ბათომის და მისი ოლქის ოკუპაცია. მუხანათური საქციელი ანგორის მთავრობისა გვისპობს ჩვენ ომის გაგრძელების უკანასკნელ საშვალებას. ჩვენ ჯარებს, რომელსაც ყოველმხრივ შემოსევია ორი მილიტარისტული სახელმწიფო დიდი რუსეთი და ოსმალეთი ყოველს მიზეზს გარეშე მოელის დაღუპვა. მარტის 17 მთავრობა ადგენს დასტოვოს ბათომი. ეს გადაწყვეტილება გზას უხსნის ბოლშევიკებს, და ისინი რამდენიმე საათის შემდეგ შედიან ბათომში. ასეთია საქმის მსვლელობა, რომელმაც გაანადგურა სახელმწიფო შექმნილი საქართველოს მუშების და გლეხების მიერ. დემოკრატიულ რესპუბლიკის მაგიერ მყარდება სამხედრო დიქტატურა და თვითნებობა მოსკოვის ხიშტებისა. რომ შესაფერისად დაფასდეს ბოლშევიკური იმპერიალიზმის დანაშაულობანი, საჭიროა გავითვალისწინოთ, ის გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქ. რესპუბლიკა ყოველთვის სცდილობდა დაეცვა კეთილ-მეზობლური განწყობილება რუსეთთან. სცემდა-რა პატივს რუსეთის ხალხის სურვილს, საქართველო ინტერვენციის პოლიტიკაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ არასოდეს არ დებულობდა მონაწილეობას, მან გადაჭრით უარი სთქვა კავშირზე რომელიმე რუსულ კონტრ-რევოლიუციასთან, ის აშკარად ებრძოდა ყოველივე ცდას გამოეყენებიათ მისი ტერიტორია, როგორც ბაზა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციისთვის.

საქართველოს ხალხს აქვს უფლება და კიდევაც მოელის ძმურ დახმარებას საერთაშორისო პროლეტარიატიდან. ამ დახმარებისათვის მოგმართავთ თქვენ ამხანაგებო. თქვენ ყოველთვის გმობდით დაპყრობით ომებს. განა ნაკლები დაგმობას და განრისხების ღირსია საქართველოსთან ომის მოწყობაში დამნაშავენი, მიტომ რომ ისინი თავის იმპერიალიზმს ფარავენ კომუნიზმის დროშით.?

ჩვენ ველით თქვენგან დაგმობას ჩვენი ქვეყნის შემვიწროებელთა, რომლებიც სცდილობენ ხიშტებით აღმოფხვრან სოციალისტური იდეა, და ხიშტებითვე გაავრცელონ თავისი საკუთარი იდეა. აღიმაღლეთ ხმა ამხანაგებო და მოითხოვეთ მოსკოვის მთავრობიდან, რომ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან, და რომ მას მისცეს უფლება საქართველოს ხალხს განაგოს თავის ბედს და თავისუფლად მოაწყოს თავისი ხელისუფლება და სახელმწიფო.

მთავრობის თავმჯდომარე, მუშათა საბჭოს თავმჯდომარე, ს. ს. დ. მ. პ. ცენ. კომიტ. თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, დამფუძნებელი კრ. თავჯდ. ს. დ. პ. ცენტრ. კომ. წევრი ნ. ჩხეიძე, საგარეო საქმ. მინისტრი ს. ს. დ. პ. ცეკას წევრი ე. გეგეჭკორი, შინაგან საქმ. მინისტრი ს. ს. დ. პ. ცეკას წევრი ნოე რამიშვილი.

სტამბოლი 27 მარტი 1921 წ.

ფურცლები

42.

დოკუმენტის გამო.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ყოფილი მენშევიკური მთავრობის მოწოდება დაბეჭდილია იგი ორნახევარი ინტერნაციონალის ორგანოში—„სოციალისტური უწყება“ რომელსაც დღეს მეთაურობს მარტოვი, აბრამოვიჩი და ადლერი.

მოწოდებას უკვე იცნობს ევროპა. თვით ჩიჩერინი ლაპარაკობდა ამ მოხსენების გამო. ისიც ვიცით, თუ რა ნაყოფი მოიტანა მან.

ჩვენ გვინდა ამ საკითხს დაუბრუნდეთ უფრო ისტორიულის თვალსაზრისით და ოდნავ მაინც განვსჭვრიტოთ ის ტრაგედია, რომელსაც განიცდის დღეს ყველა თანამედროვე ერი საზოგადოდ, კერძოთ კი საქართველო.

მენშევიკურ მთავრობის მთავარი პოლიტიკის დამარცხების მიზეზი მარხია თანამედროვე რევოლიუციის და მისი მიმართულების ყალბად გაგებაში. მენშევიკების შემეცნებით რევოლიუციის პროცესი დამთავრდა, მაგრამ არც მილერანისათვის, არც ლოიდ-ჯორჯისათვის რევოლიუციის პროცესი არ იყო დამთავრებული. ამათთვის საბოლოოდ გადაწყვეტა რევოლიუციის საკითხისა არის გადაწყვეტა რუსეთის საკითხისა და ამ მხრივ ანტანტისტების შეგნება გაცილებით სწორი იყო და არის, ვიდრე მენშევიკებისა.

მეორე მთავარი შეცდომა მენშევიკებისა იყო ყალბი წარმოდგენა სოციალისტურ რევოლიუციაზე. მენშევიკებს არ სწამდათ ეს რევოლიუცია თანამედროვე ბრძოლის პროცესში, ვათ ვერ გაიგეს აუცილებელი მიმართულება რევოლიუციის ინტერესებისა და მათი პოლიტიკა, საქართველოს პოლიტიკად გადაქცეული, ასცდა იმ ისტორიულ, სინამდვილეს, რამაც უეჭველად დიდი ზიანი მიაყენა თვით საქართველოს.

საქართველოს საკითხი რევოლიუციის პროცესში არ არის პრობლემა რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებისა. საქართველოს მდებარეობა და მდგომარეობა განსაკუთრებული ხასიათისაა აზიაში და მას დიდი, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციის ისტორიაში. რუსეთის რევოლიუციისათვის ფინლანდიას მხოლოდ ტერიტორიალური მნიშვნელობა აქვს, საქართველოს კი აქვს სასიცოცხლო ძალა რევოლიუციის გამარჯვება-დამარცხებისათვის.

საქართველო მომავალში კიდევ მეტ როლს ითამაშებს და ჩვენ მოვალე ვართ, როგორც საქართველოს პოლიტიკური მესვეურები, ანგარიში გაუწიოთ საერთაშორისო განწყობილებას, ეს განწყობილება ჩვენზე ბატონობს, აქ საკითხი არა სდგას სიმპატია—ანტიპატიის ნიადაგზე და ამ მდგომარეობის გაგებით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა გვეწარმოებია შეთანხმებით რევოლიუციის საერთო მიზნებთან.

მენშევიკებმა ვერ მოახერხეს ეს მთავარი პოლიტიკის გატარება, ვერ შესძლეს იმატომ, რომ მათ არ სწამდათ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება და იძულებული იყვნენ ამ მიმართულების მოწინააღმდეგებისათვის ქედი მოეხარათ.

ამიტომაა მენშევიკების მოწოდებაც მოკლებულია არსებითად პოლიტიკურს გეზს, პოლიტიკურს აზრს და ევროპის მუშათა ფართო მასსაში მან ვერ მოახდინა სათანადო გავლენა.

თვით ანტანტისათვის საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო ბრძოლის პროცესში მნიშვნელოვან ეტაპს, პუნქტს და თავისთავად საქართველოს ყოველი უბედურება ანტანტისათვის სრულიად უმნიშვნელოა.

დღესაც, ახლო აღმოსავლეთში დიდი ამბებია. ოსმალეთის ავანტიურისტებს არ სძინავთ და საქართველოსათვის უდიდესი უბედურება იქნება ოსმალეთის ავანტიურისტების და პოლიტიკურ სპეკულიანტების გამარჯვება, ვინაიდან ეს იქნება თვით საქართველოს გაობრება და გავერანება, კვლავ ახალი ექსპედიციები, კვლავ ახალი ომები და სხვა—რაიცა ჩვენთვის დაუშვებელია.

საბოლოო გამარჯვება დაწყებულ ბრძოლაში სოციალისტურ რევოლიუციას ეკუთვნის. საქართველოსათვის ერთად ერთი სასარგებლო და საჭირო ხაზი უნდა იყოს ხაზი იმ მხრივ და მაქსიმალური ნეიტრალიტეტის დაცვა შეიძლება მხოლოდ სოციალისტურ გეზის გულწრფელად მიღებით. ამ გზის წინააღმდეგ წასვლა უდიდესი უბედურებაა საქართველოსათვის და ამიტომაც მენშევიკების ბრძოლასაც ჩვენ სავსებით უარყოფით ვუყურებთ.

თედო ღლონტი.

წერილები პარტიელ ამხანაგებს

1

ამხანაგებო!

სამ თვეზე მეტია, რაც საქართველოს პოლიტიკურ არეზე ყველასათვის დასანახად მხოლოდ ჩვენი ჯგუფი მოქმედობს. ყველა დანარჩენი დღესაც გარუმებულნი არიან, ხოლო ჩვენ კი გვისაყვედურებენ და გვიწუნებენ იმ საქმეს, რომელსაც ჩვენი შეძლების მიხედვით ვაკეთებთ. ერთი შეხედვით თითქოს მართალნი არიან ამ საყვედურის ავტორნი. მაგრამ მათ სიმართლეში მხოლოდ ვიწრო ადამიანური ნოტა ხმაურობს, პოლიტიკური აზრი მათ სიტყვებს რა საკვირველია არა აქვს. ადამიანში ადამ უნდა არსებობდეს ადამიანური განცდები, რომ არ ეგრძნოს ის საშინელი ტკივილები, რომელიც დღესაც აწუხებს ქართველ ერს. მე არ მგონია მოიპოვებოდეს საქართველოში ერთი ქართველი მაინც, რომელიც ფიქრით მაინც არ იხდიდეს ქუდს ქართველ ძმათა საფლავის გვერდზე ჩავლის დროს.

და მათი აჩრდილი უსათუოდ იდგ ყოველ ქართველის ინტიმურ სამყაროში, ვიდრე საბოლოო გამარჯვებას არ მიაღწევს ის დიდი დროშა, რომელიც მათ წინ მიუძღოდათ სიკვდილისთვის განწირულებს, მაგრამ ეს ემოციები ქვეყანაა. თუ გნებავთ, ეს ერის ტრაგედიის ერთი აქტიცაა, მაგრამ პოლიტიკა და ემოცია ისეთ საწინააღმდეგო ბუნების მოვლენები არიან, რომ მათი შეთავსება ყოვლად მოუხერხებელია. მიტომაც არის, რომ ჩვენ ემოციები თვალსაზრისით პოლიტიკასთან მისვლა უარვყავით, და წმიდა საფლავებზე ა ვლაპარაკობთ იქ, სადაც ყოველდღიური მძაფრი კითხვები თხოულობენ მხოლოდ და მხოლოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ პასუხებს.

აი, უკვე სამ თვეზე მეტია, რაც ჩვენ ქვეყანაში მეტად საყურადღებო ამბავ მოხდა. სამ თვეზე მეტია, რაც სოლომ ლულის მაგრა ჩაკეტილი ციხის კარებ გარეშე ძალამ შემოამტვრია, და მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება ახალ ძალის ხელში გადავიდა. ეს ფაქტი განა გვაძლევდა გარუმებას? რა

ხან უსწორო ბრძოლაში დავმარცხდით მაშ შემდეგ გულზე ხელი უნდა დავიკრიფოთ ათონის მორჩილივით, და სანთლები დავგვენთო მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად? რასაკვირველია არა. სანთლები კი დავანთეთ, მაგრამ იმისთვის, რომ შემოსულ ძალას კარგად დაენახა საქართველოს ყველა კუნჭული, და გაეგო, რომ საქართველო სხვაგვარი ქვეყანაა, რომ აულების ხალხი არა ვართ, და შაბლონზე შეკერილ ჩექმაში გემოვნება-განვითარებული ქართველი ერი ფეხს არ ჩასდგამს. ეს მოვიმოქმედეთ კიდეც, და თუ ისე არ გაკეთდა, როგორც ჩვენ გვინდოდა, ამაში ბრალს ჩვენ მხოლოდ ის დაგვდებს, ვინც აზროვნების დამბლით არის შეპყრობილი. პოლიტიკური პარტიის არსებობის მნიშვნელობა იმით ხომ არ განისაზღვრება, რომ გაკეთდეს ის, რაც გასაკეთებლად არის მიჩნეული, რასაკვირველია ეს სასურველია, მაგრამ სურვილით ქვეყანას არც სცილდება. სინამდვილე უფრო რთულია, და თუ პოლიტიკური ჯგუფი გართულებულ პირობებში მაინც შესძლებს თავის აზრის თქმას, იმის და მიუხედავად, გაკეთდება თუ არა, ამით მისი არსებობა უკვე გამართლებულია. საზოგადოებრივი აზრის ფხიზლად შენახვა, ეს იყო უმთავრესი ჩვენი მიზანი, და გვგონია, რომ შეძლებისამებრ ეს მძიმე როლი შევასრულეთ. არ ვმალავთ, რომ შეცდომებიც ბევრი ჩავიდინეთ, მაგრამ კვლავაც არ შეგვეშინდება შეცდომებისა, თუ კი ამ გზით შევსძლებთ ოდნავი სამსახური მაინც გაუწიოთ ჩვენ ერს და იმ დიდ საქმეს, რასაც ჩვენ სოციალიზმს ვეძახით. ამხანაგებო! ერთი რამ უნდა ახსოვდეს ყოველ ადამიანს: რომ სიკეთე უფრო უჩინარია ვიდრე სიბოროტე, და ავს უფრო თვალ გაგახიერებული უცქერის ადამიანი, ვიდრე კარგს. ეს ისტორიული სასწორის ბრალია, მაგრამ სავალდებულო ხომ არ არის ყოველთვის ისტორიის სარეცელზე წოლა და კლიშეებით აზროვნება? ხან-და-ხან საკუთარ არსებასაც უნდა გაუგდო, რომ შეფასების უნარი გაინვითარო. და ვინც შესძლებს ობიექტიურ შეფასებას, ის არადროს არ მოიშხამავს ატმოსფეროს ჩვენს გარშემო ისე, როგორც ამას სჩადიან ფუტლიარ დაკარგული „პოლიტიკოსები“. დიახ ამხანაგებო, ჩვენში ბევრი რამ მოხდა, და ჩვენც ხმა უნდა ამოგვეღო ბევრი რამ ალბად კიდევ მოხდება, და ჩვენც ამ სადარაჯოს არ მოვცილდებით, რადგან ჩვენი გაგებით, პოლიტიკური მოღვაწენი როცა ვართ, იმიტომა ვართ, რომ ქვეყნის ინტერესებს დარაჯად დაუდგეთ, და ყოველგვარი მსხვერპლი პირველად ჩვენ გავიღოთ. ვის არ უნდა მოსვენებით ცხოვრება, ვინ მოიწადინებს ათასგვარი სურვილებით აჭრელ მორევში შეცურებას, თუ კი საკითხი ასე დადგება? მაგრამ საკითხი ასე არ დაუყენებია ისტორიას. ისტორია გარკვეულად ითხოვს ჩვენგან თვით-მოქმედებას, და თუ ამ მოთხოვნილებას გავითვალისწინებთ და შევთანხმდებით, რომ მოქმედება საჭიროა, შემდეგ უფრო ადვილად გავარკვევთ ჩვენი მოქმედების სიავ-კარგეს, და საერთოდ, ასეთ თუ ისეთ მოქმედების ხასიათს და შესაძლებლობას.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში დაბრუნების შემდეგ მე შეძლების დაგვარად ვმუშაობდი ს.-ფ. პარტიაში. ამ ხნის განმავლობაში მე მუდამ ენერგიულად ვიდექი პარტიის მთლიანობის გზას და დაწყებული მეოთხე კონფერენციიდან ჩემს გამოსვლებს კონფერენციებზე ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. უკანასკნელ კონფერენციაზე გამოირკვა, რომ პარტია იმდენად პრინციპიალურად არ სდგას გათიშვის აუცილებლობის ნიადაგზე, რამდენადაც დაავადებულია სხვა მხრივ და იმდენად მძაფრად, რომ მთლიანობის დაცვა შეუძლებელია. ამის გამო ჩემი როლი პარტიაში დამთავრებულად მიმაჩნია და ჩემი მასში დარჩენა სრულიად უაზროდაც და შეუძლებლადაც. მე ვსტოვებ ს.-ფ. პარტიას და საზოგადოდ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ორიოდე სიტყვა უკანასკნელ თვეების მუშაობაზე: მე ერთ გარკვეულ ჯგუფთან ვთანამშრომლობდი, რომელსაც თავისი გარკვეული პოლიტიკა ჰქონდა. ამ მუშაობით მე ერთი წუთითაც არ ვფიქრობდი პარტიულ მთლიანობის დარღვევას. მე ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი ამ ჯგუფის ზოგიერთ წარმომადგენელთ, მაგრამ ერთ რამეში მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჯგუფი აკეთებდა დიდს ეროვნულ საქმეს. მე დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჯგუფის პოლიტიკა სწორია და მას მომავალი აქვს და ერთი წუთითაც არ მინდა ჩემის მხრივ პასუხისმგებლობა მოვიხსნა ყველა იმ ნაბიჯებისათვის რომელიც ჩემის მონაწილეობით იქმნა გადადგმული.

პროფ. შალვა ნუცუბიძე.

შოთა რუსთველი და პროლეტარიატი

(დასასრული)

ჩემი ჩამოთვლილი საზოგადოებრივი ჯგუფების არსებობა არღვევდა ერთობის, ანუ ზოგადობის საფუძველს, რადგანაც ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა გვერდით იყვნენ მუქთა ხორა ბატონები, რომელთა ხელშიაც იყო სიმდიდრე და სიამე ამა სოფლისა. ასეთი საზოგადოებრივი უთანასწორობა რამდენადაც საკითხია სოციალიზმისა, რომელიც ისწრაფვის ერთობის და თანასწორობის დამყარებას, შოთა რუსთველის იდეებიც იმდენად არ ეუცხოება სოციალიზმს და მისადმი აგრეთვე ყოველი სოციალისტისთვის.

მაგრამ შოთა რუსთველი მხოლოდ ამით არ არის დიდებული. იგია აგრეთვე დიდებული მამკლიშვილი. პირველად იმან გააპოეტიზა ხელოვნური შემოქმედებით დებულება, რომელიც ავალებს მამულიშვილს სისხლის ღვრას, რომ უცხო ტომელები მის მამულს არ გაუბატონდნენ და ჭამა არ დაუწყონ. ასეთი აზრის მატარებელ-მქადაგებლად მან შექმნა ტიპი ნესტან-დარეჯანისა, ხოლო მისი მიჯნური ტარიელ გამოხატა სატრფოს აზრის აღმასრულებლად. სპარსეთის ბატონიშვილი რომ მოეყვანათ საქმროდ ნესტან დარეჯანისთვის, სპარსნი ჭამას დაუწყებდნენ ინდოეთსა, რომელიც იყო მამული როგორც ნესტან დარეჯანის, ისევე ტარიელისა და ინდოეთი რომ გადაერჩინა ისეთი განსაცდელისაგან ტარიელმა მოჰკლა თავისი სატრფოს საქმრო, რა მიიღო მისგან ბრძანება

რა მოკვდეს ხიძე, მოჰკალ...
მაგ ამბად არ ეგების,
რომე სპარსნი გაგვიბატონდნენ 1)
მკადრე თუ 2) სპარსთა ვერა ვთქმ
ინდოეთისა ჭამასა.

ქართულ პოეტიურ შემოქმედებაში ქალის გამოყვანა პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე, პოლიტიკური ტერორის იდეოლოგად ახალი ამბავი იყო. ასეთი ტიპის შექმნა უეჭველია გამოუწვევია თვით ცხოვრებას, რომლისაც ნაყოფიც უნდა იყვეს ნესტან დარეჯანისა და ტარიელის მიჯნურობის ამბავი. მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად მართალია ნესტან დარეჯანის ტიპის ბუნებრიობა? უნდა ითქვას, რომ ნესტანი არ იყო ჩვეულებისამებრ [illegible] მოკარბეჭული ქალი, რომ ყოველთვის გულის აჰყოლი ყოფილიყო. თუმცა ტურფა იყო მზეთუნახავი, მაგრამ პოეტის თქმით იმას ჰქონდა თვალი ასპიტისა (გველისა), მამასადამე ისეთი, რომელიც უთხრობდა საბრძოლსა, რადგანაც გველი სიმბოლოა სიბრძნისა. და ეს გარემოება შესაძლებლად ჰხდიდა, რომ ნესტანს დაჰკითხებოდა გონებას მის გამო, რაც თავს უნდა გადაჰხდომოდა და სწორედ ამ გონების დაკითხვამ გადააქცია იგი პოლიტიკური ტერორის იდეოლოგად, იგი, რომელსაც მუსაფი (ყურანი) მუდამ ჰქონდა გაშლილი მდებარე სასთუნალზე, და ჯულის ერთობა განზე გადუდებია, თუმცა სპარსეთის ბატონიშვილი ისეთივე მუსლიმანი იყო, როგორც თვით ნესტან დარეჯანი.

შოთა რუსთაველი დიდი ბრძენი და დიდი მოშაირეა, რომელსაც საღმრთო იდეალები არა თუ პოეტიურ სურათებად გადაუშლია, არამედ საღმრთოდვე გასაგონი გაუხდია, რადგანაც ხმები შეუწყვია შესაფერად იმ იდეალების სიმაღლის და სიწმინდისა. იგია უდიდესი გენია, რომელიც ერთნაირად აუფრთოვანებს სულთა სწრაფვას როგორც პროლეტარს, ისევე არა პროლეტარსაც. მაგრამ ამისათვის საჭიროა როგორც ერთი, ისევე მეორე განვითარდეს ეროვნულ პოლიტიკურად, რომ დაეწაფნენ ვეფხის ტყაოსანს ამ სიბრძნის ტბას, როგორც ირემი წყაროსა.

პეტრე მირიანაშვილი.

შენიშვნა: 1, გაგვიბატონდნენ, 2 ე. ი. მამაჩემსა.

ახალი ამბები

— 16 ივნისიდან 23 ივნისამდე სახელმწიფო საოპერო თეატრში იღებენ ჩასაწერად მსურველთ მომღერალ გუნდში ან ბალეტში შესასვლელად.

მიღება იქნება კონკურსით, კონკურსის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული ჩაწერა მსურველების საოპერო თეატრის კონტორაში ყოველ დღე ორშაბათის გარდა, 12 საათიდან 2 საათამდე თეატრის გამგის თანაშემწესთან. სახელმწიფო საოპერო თეატრის დრ. გამგე.

— **კბილის საექიმო ამბულატორია.** გაუწყებთ ყველა პროფკავშირებს ცნობისათვის, რომ პუშკინის ქუჩაზე № 15 გახსნილია კბილის საექიმო პირველი ამბულატორია. კავშირის წევრებმა, მათი ოჯახის წევრებმა და კბილის უფასო საექიმო დახმარების მიღების მსურველებმა უნდა მიჰმართონ ამბულატორიას სათანადო საბუთების წარდგენით. ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9-დან 2-მდის და საღამოს 4—8 საათამდეს.

რადიო

კომუნისტ დეპუტატის გალახვა.

რიგა. გაზეთ „პეტენ“-ში მოთავსებულია სურათი, სადაც გამოხატულია ის მომენტი, როდესაც პარიზის კომუნისტთა დემონსტრაციის დროს პოლიციის აგენტებმა დეპუტატი ერნესტ ლაფონა ჯოხითა სცემა.

კომუნისტური პროპაგანდა საფრანგეთში.

ლიონი. სამხედრო მინისტრმა ბარრუმ უცხოელ ჟურნალისტების მიღების დროს განაცხადა, რომ საფრანგეთში კომუნისტური პროპაგანდა მიმართული იყო გერმანიისკენ გასაგზავნ ახალ ძალთა მობილიზაციის წინააღმდეგ.

ოდესა-კიევი-მოსკოვი.

როსტოვი. უკვე იწყება პირდაპირი სამატარებლო მიმოსვლა ოდესა-კიევი მოსკოვის მიმართულებით. ოდესა-კიევ-მოსკოვ შუა მატარებელი მოუნდება მხოლოდ ოთხი დღე-ღამეს.

ახლო-აღმოსავლეთი.

ლიონი. ინგლისის ოფიციალურ წრიდან გამოსულ ცნობით მცირე აზიის საკითხზე ლონდონში ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არაა მიღებული. „დეილი-მეილის“ აზრით, ბერძნებს არავითარი საფუძველი არა აქვთ იმედი იქონიონ ინგლისის დახმარებაზე.

გერმანია და ანტანტა.

ლიონი. გაზ. „პტი-პარიზიენი“ აქვეყნებს პოლკოვნიკ ხოუზის წერილს. ის ადასტურებს იმ აზრს, რომ აღდგენის მინისტრად ვალტერ რეტენაუს დანიშვნის ფაქტი დამამტკიცებელია იმისა, რომ ახლანდელ გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს შეასრულოს ანტანტის წინაშე ყოველგვარი თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი და ამისთვის გამოიყენოს გერმანიის უნარი გადახდისა რამდენადაც კი შეიძლება. ყველა ფაქტი ღაღადებს, რომ გერმანიის ეხლანდელი მთავრობა უაღრესად მტკიცეა და ამიტომ საჭიროა, რომ ეს მთავრობა უფრო ხანგრძლივად იდგეს რესპუბლიკის სათავეში. მთავრობის განმტკიცების გარდა მორიგი საკითხია—გერმანიის საფრანგეთთან დაახლოვება. ბევრი გერმანელები იმ აზრის არიან, რომ უამისოდ ევროპის აღორძინება შეუძლებელია.

კომუნისტთა საერთაშორისო კონფერენცია.

მოსკოვი. დღეს საღამოთი მოსკოვში დიდის ზეიმით, გაიხსნა კომუნისტთა საერთაშორისო მე-2 კონფერენცია.

მუშაობა აღმოსავლეთ ხალხთა შორის.

მოსკოვი. ამ დღეებში კრემლიდან გაემგზავრა სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს სრულუფლებიანი კომისია ამხ. ი. ბრაგევის მეთაურობით აღმოსავლეთის მცხოვრებთა შორის სამუშაოდ. კომისია 26 თათრისა და 15 რუს პარტიულ და საბჭოთა მუშაკთაგან შესდგება. კომისიის განკარგულებაში იმყოფება აღმოსავლეთის ენაზე დაწერილი საკმაო ლიტერატურა.

რედაქტორი თედო დლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

დავკარგე მატრიკული სახელ. უნივერსიტეტიდან. მოცემული, რომელიც გაუქმებული ითვლება სტ. ვ. ლეშკაშელი. 1043

სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ დარგის სტუდენტი ალექსანდრე სოფრომის ძე პაპუკიანმა **დაკარგა** პარადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

კბილის ექიმი
აპოლონ ურუშაძე
განახლა [illegible]
9—1 ს. და 4—7 ს.
პუშკინის ქუჩა № 13 [illegible] 39

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (914 ტ 606 სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუხუნათი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
ოლღა ხოფერია
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

ბეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭირით ცხვრის სასულე—მილას ავადმყოფობას ვქიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქუჩა № [illegible], ბინა 2. 38

ყოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081

განცხადება

სახალხო იუსტიციის კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილებასთან შესდგა მცველ-მხლებელთა რაზმი, რომლის დანიშნულებასაც შეადგენს საპყრობილეების დაცვა და პატიმართა მხლებლობა.

რაზმში მიიღებიან ნასალდათარი პირნი, რომელნიც ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებულნი არიან

ჩაწერა და პირობების გაგება შეიძლება რაზმის უმწყობრო გუნდში (ავლაბარი, კახეთის ქუჩა № 6) გუნდის უფროსს გვაზერიძესთან. 40

საქართველოს ტექნიკური საზოგადოების კრება.

დღეს, ივნისის 16 ს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში შესდგება ტექნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენებები ტექნიკურ თემებზე. 41

განცხადება
16 ივნისიდან 23 ივნისამდე სახელმწიფო საოპერო თეატრში იღებენ ჩასაწერად მსურველთ მომღერალ გუნდში ან ბალეტში შესასვლელად.
მიღება იქნება კონკურსით, კონკურსის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
ჩაწერა მსურველების საოპერო თეატრის კონტორაში ყოველ დღე ორშაბათის გარდა, 12 საათიდან 2 საათამდე თეატრის გამგის თანაშემწესთან.
სახელმწიფო საოპერო თეატრის დრ. გამგე.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ფოფიტე, ცოლი ალათი, შვილები ნინო გულაშვილისა, მელანია, მიტრო, გიგო და რძლები მანანა და ვარო ზეგიაშვილები, ბიძაშვილები ნადეჟდა, ნიკოლოზ ცოლით ბაბოთი ნაცვლიშვილები, ელენე და ტიტო ქადაგიშვილები და სიძე გიორგი გულაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მიხეილ ზეგიაშვილი.

გამოსვენება დღეს, ივნისის 16, დილის 9 საათზე (გოგოლის ქ. 48) ქუკიას წმ. ნინოს ეკლესიაში, დაკრძალვა იქვე. 39

დამწუხრებული მშობლები ანდრო და ფელიცია გაბუნიები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას ივნისის 20 ს დილის 12 საათზე გადახდილი იქნება უდროოდ დაკარგულ

ნინას

წლის წირვა და პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში. 1042

თავზარდაცემულნი დედა ანა დავითის ასული, ძმები: პავლე, შოთა და ნესტორ, დები: ნარო, ფოცია და ვარია კალანდაძეები ღრმისი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს დონის როსტოვში ტრაგიკულად გარდაცვალებას მათი უსაყვარლესი

სამსონ ანანიას ძე კალანდაძის

რომლის წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება 16 ივნისს დაბა ხიდისთავში (გურია)